1877—1900

№ 152

შაბათი, 15 ივლისი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 152

შაბათი, 15 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ეკატერინე ლევანის ასული ჩიკვაიძისა, ნიკოლოზ სვიმონის ძე, კალისტრატე, სამსონ და დიდიმ ნიკოლოზის ძენი ჩიკვაიძენი, აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ქმრისა, მეორე შვილისა, ხოლო დანარჩენნი ძმისა თვისისას ტიტულიარნი სოვეტნიკის

**ვლადიმირ ნიკოლოზის ძის ჩიკვაიძისას**

სთხოვენ, მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ დასასწრებლად ქ. ქუთაისს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზედ. (1—ნ.—1)

მღვდელი ლუკა მათეს ძე, ქრისტინე დავითის ასული, ნატალია, ელენე, სერგი, არკადი და ლუკა ბახტაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა 13 ივლისს ქ. სუხუმში პირველნი ორნი ძვირფასის შვილისას, ხოლო დანარჩენნი ძმისას

**ილია ლუკას ძის ბახტაძისას,**

განსვენებულის გვამის დაკრძალვის დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული. (2—მ.—1)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი $1$—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს.

გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

მ. გ. წერეთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. გეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სხ. განაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

**ნასიძე**

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12 მდე და საღამოობით 5—7-მდე. (30—უ.—8)

**ვექილ კასსირს**

კარგის ჯამაგირით

**ჩემის ღვინის სარდაფისათვის,**

რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლში, № 17.

ზე უნდა წარმოადგინოს ნაღდ ფულად.

(4—ნ.—3) თავ. გიორგი ქავჭავაძე

## ახალი ამბავი

† გუშინ, 14 ივლისს, სუხუმიდგან შემდეგი სამწუხარო დეპეშა მივიღეთ:

„გუშინ, 13 ივლისს, საღამოს 5 საათზედ, ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ტფილისის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი ილია ხონელი (ბახტაძე)".

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ-ნ რობის განზრახვა აქვს მთაწმინდის გორაზედ ფუნიკულერი გამართოს. ჯერ-ჯეროზით ბ-ნი რობი წყლის გაყვანის საქმეს შესდგომია. ამ აზრით, როგორც შევიტყეთ, რობის ქვების მთხრელ სპარსელებისთვის მიუნდვია ადგილების გამოკვლევა და იმის გაგება, აღმოჩნდება თუ არა იქ საკმაო წყალი. სპარსელებს გამოკვლევა უკვე დაუსრულებიათ და გამოუცხადებიათ, რომ წყალი საკმაოაო. აზრადა აქვთ ქვები გამართონ, ეს ქვები გვირაბებით შეაერთონ და წყალს ერთ აუზში მოუყარონ თავი. იმედი აქვთ, რომ საათში 120 ვედრა წყალს მისცემს აუზი.

*** ქალაქის სასწავლებელთა კომისიას პუშკინის სახელობის წიგნთსაცავის გამართვა საჭიროდ უცვნია გოლოვინის პროსპექტზედ, საფოსტო სადგომის გვერდზედ ქალაქის სახლში, სადაც ამ ჟამად საადგილმამულო ბანკის... ქალაქის გამგეობისათვის უცნობებია, კომისიის აზრით, შენობა შეკეთებულ უნდა იქმნას. შიგნიდგან ოთა-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

ტელეგრაფი და დეპეშათა სააგენტოები.—ჟურნალ-გაზეთები საფრანგეთში.—ბეჭდვითი საქმის განვითარება.—„ჩეხიის სასკოლო მატიცა".—ამერიკელი ქალები და ქალთა კლუბები ამერიკაში.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ახალ დროის გამოგონებათა შორის დედამიწის სხვა-და-სხვა კუთხის ერთმანეთთან დაახლოვების, ერთმანეთის გაცნობის და შესწავლის საქმეში ერთი უმთავრესი სამსახური ტელეგრაფს მიუძღვის. ტელეგრაფის წყალობით კაცი იმდენად ასცდა ვიწრო ფარგალს კერძო ინტერესებისას, რომ დღეს ცხრა მთას იქით მდებარე კუთხის თავ-გადასავალიც-კი ისეთსავე საინტერესო მოვლენას შეადგენს იმისთვის, როგორც თვით იმ კუთხის მცხოვრებთათვის. უწინდელს დროში ისეთი მოვლენა, როგორიც სამხრეთ-აფრიკის ომია, მარტო სამხრეთ-აფრიკის, საზღვრებსაც არ გასცდებოდა, დღეს-კი ტელეგრაფმა იგი მთელს დედამიწას მოსდო და იმდენად დააინტერესა ყველანი, რომ იქ მომხდარ ამბებს საკუთარ საქმეებზედ უფრო გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს. სხვაგანაც ასეა. ამ ჟამად თითქმის მეორე დღეს ვიტყობთ იმას, რაც რამდენისამე ათასის ვერსით ჩვენგან დაშორებულ ჩინეთში ჰხდება. რა სამსახურს უწევს ეგევე ტელეგრაფი ვაჭრობას, მრეწველობას, დიპლომატიას და სხვას, ვგონებთ, ეს ყველასათვის აშკარაა.

სწორედ ამიტომ სახელმწიფონი ახალს ადგილებში უპირველესს ყოვლისა ტელეგრაფის გამართვას შეუდგებიან ხოლმე, ხოლო კერძო კაცნი—ვაჭარნი, მრეწველნი, გაზეთების გამომცემელნი—დეპეშათა სააგენტოს დაარსებას. ამ ჟამად უკვე მრავალი დეპეშათა სააგენტო არსებობს, რომელთა სამოქმედო ასპარეზს ერთი რომელიმე კუთხე-კი არა, მთელი დედამიწა შეადგენს. ბევრს სააგენტოს მართლა რომ სამაგალითოდა აქვს საქმეები მოწყობილი და შეუძლიან ერთგან მომხდარი ამბავი იმავე დღეს მთელ ქვეყანას აუწყოს.

აი დეპეშათა უმთავრესი სააგენტოები ევროპაში: პარიჟში—„ჰავასის სააგენტო", „ფურნიეს სააგ.", „ნაციონალ ს."; ლონდონში—„რეიტერის სააგ.", „დალციელის ს." და „ცენტრალ ნევს"; ბერლინში—„ვოლფის სააგ."; ვენაში—„კორესპონდანს-ბიურო"; იტალიაში—„სტეფანის სააგ."; ბერნში—„სატელეგრაფო სააგენტო"; და პეტერბურგში—„რუსეთის დეპეშათა სააგენტო". ბევრს ამათგანს საკუთარი ტელეგრაფიც-კი აქვს გამართული.

სხვათა შორის „ცენტრალ ნევს" ყოველ დღე თავისს აბონენტებისათვის 80 სვეტს დეპეშებსა ჰბეჭდავს. ამ სააგენტოს კორესპონდენტები ინგლისის ყველა ქალაქსა და ლონდონის ყველა უბანში ჰყავს. მარტო პარლამენტის კრებებზედ სააგენტოს 12 რეპორტიორი დადის. დედამიწის სხვა-და-სხვა კუთხეში „ცენტრალ ნევს" 1200 კაცი ჰყავს.

საყურადღებოა აგრეთვე „ჰავასის სააგენტოც". ყოველ დღე ეს სააგენტო თავისს აბონენტებისათვის 8 დიდ სვეტსა ჰბეჭდავს, რომლებშიაც ჩამოთვლილია 24 საათის განმავლობაში მთელ დედამიწის ზურგზედ მომხდარი ამბები. სააგენტოს თითქმის ყველა კუთხეში ჰყავს საკუთარი კორესპონდენტი.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ სააგენტოებს „რუსეთის დეპეშათა სააგენტო" გვერდში ვერ ამოუდგება. „რუსეთის სააგენტო" იმათთან შედარებით მეტად უხეიროდ არის მოწყობილი: დეპეშებს მეორე დღესა ჰგზავნის, ხშირად მნიშვნელოვან დეპეშებს სტოვებს და უმნიშვნელოთი ჰკვებავს გაზეთებს, თვით დეპეშის შინაარსიც ბევრჯელ უხეიროდ არის შედგენილი და სხვა. რუსულს გაზეთებში ძალიან ბევრსა სწერენ ამ სააგენტოს შესახებ, მაგრამ იმის გაუმჯობესებას არავინ ეღირსა.

***

დიდი სარგებლობა ტელეგრაფმა გაზეთებს მოუტანა. დღევანდელი ყოველ-დღიური გაზეთი უდეპეშოდ წარმოუდგენელია. თანდათან დეპეშა უფრო დიდს ადგილს იჭერს ყოველ დღიურ გაზეთში. საფრანგეთში ისეთი გაზეთიც-კი არსებობს,—„La Depeche", რომლისთვისაც მოწინავე და სხვა საყურადღებო წერილები ყოველ დღე პარიჟიდგან (ეს გაზეთი პროვინციაში იბეჭდება) დეპეშით იგზავნება. ლონდონის ზოგიერთ გაზეთებს ხშირად უშველებელი კორესპონდენციები ტელეგრაფით მოსდით და არა ფოსტით.

ტელეგრაფის წყალობით ეხლა საფრანგეთში, მაგალითად, პარიჟისა და პროვინციების გაზეთებში ერთსა და იმავე დროს იბეჭდება ის ამბებიც-კი, რაც თვით პარიჟში ხდება. საფრანგეთში საზოგადოდ დეპეშის გაგზავნა იაფადა ჰღირს. სიტყვაში სულ 5 სანტიმი (2 კაპეიკზედ ნაკლებია) უნდა გადაიხადოთ, ხოლო გაზეთებს $2^1/_2$ სანტიმად ეთმობათ. ამის გამო პროვინციის გაზეთების რიცხვი თანდათან მრავლდება. წინად პარიჟში უფრო ბევრი გაზეთი და ჟურნალი იბეჭდებოდა, ვიდრე საფრანგეთის პროვინციებში; დღეს-კა ამ მხრივ პროვინციამ გადააჭარბა.

როგორც „Revue Bleue"-ში დაბეჭდილ კორნელის წერილიდგანა სჩანს, ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა, განსაკუთრებით პროვინციისა, დიდს წარმატებასა და განვითარებას ეღირსა. 30 წელიწადია, რაც საფრანგეთის მწერლობა ცენზურისაგან განთავისუფლებულ იქმნა და ამ გარემოებამ ერთი-ორად უფრო შეუწყო ხელი ჟურნალ-გაზეთობის განვითარებას. ამ ჟამად მარტო პარიჟში 2,685 ყოველ-დღიური გამოცემა იბეჭდება; ამათგან 154 საპოლიტიკო გამოცემაა, 200 საფინანსო, 215 სამკურნალო, 117 მოდებისა, 91 სამეცნიერო, 69 სამეურნეო და სხვა.

ხები წიგნების დასაწყობად მოაწყოს, ხოლო გარედგან სახლი გალამაზებული იქნას.

*** როგორც შევიტყვეთ „ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ქართულ დასის რეჟისორად მომავალ 1900—1901 წ. სეზონისათვის მიუწვევია ბ-ნი ვ. გუნია. ბ-ნი გუნია 15 ივლისიდგან არის მიწვეული სამსახურში; დავალებული აქვს დასისა და რეპერტუარის შედგენა. გამგეობას აზრადა აქვს მომავალის სეზონისათვის მხოლოდ ახალი პიესები აარჩიოს, როგორც ორიგინალური, აგრეთვე თარგმნილი.

*** ხვალ, 16 ივლისს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას მაღალ ყოვლად უსამღვდელლოესის კიევის მიტროპოლიტის იოანიკეს სულის მოსახსენებლად სიონის ტაძარში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვას გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი გარდაიხდის.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მომავალის კვირიდგან ყოველს სამშაბათობით სხდომები ექმნება, რომლებზედაც საბჭო შეუდგება 1901 წელს განზრახულ კავკასიის სამეურნეო გამოფენისათვის საჭირო პროგრამის შემუშავებას.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, გუშინ, 14 ივლისს, ტფილისის პირველ განყოფილების სასამართლოს ბოქაულთან საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დანიშნული იყო ვალის დასაკმაყოფილებლად სომხური გაზეთი „ნორ-დარი“. გაზეთის საჯაროდ გაყიდვა ტფილისის ოლქის სასამართლოს განკარგულებით შეჩერებულ იქმნა.

*** გუშინ, 14 ივლისს, კავკასიის უმაღლესს მთავრობის განკარგულებით შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა და დაწვრილებით გასინჯა ქალაქის პირველ ნაწილში არმაკუნისეული სახლი, რომელიც დღეს მილილოვსა და იზმიროვისას ეკუთვნის. კომისია ერთხმად იმ აზრს დაადგა, რომ სახლი მკვიდრი არ არის და შეიძლება დაიქცეს. ამასთან სახლი მეტად უსუფთაოდ ინახება თურმე. ამის გამო კომისიამ დაადგინა, გამოუცხადოს მცხოვრებთ გავიდნენ ერთის კვირის განმავლობაში სახლიდგან, და შემდეგ დახუროს.

*** კავკასიის მთავარმართებელს თავ. გოლიცინს ნება დაურთავს, რომ ტფილისსა, ბაქოსა და ერევანში აღმოსავლეთის მცოდნეთა საზოგადოების განყოფილებანი იქმნან გახსნილნი. აღნიშნულ განყოფილებათა მოწყობა მთავარმართებლის საბჭოს წევრს სულთან-კრიმ-გირეისა აქვს მინდობილი.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინსა და საგუბერნიო მკურნალს ბ-ნს ქიქოძეს 20 ივლისს მოელიან თიანეთის მაზრიდგან.

*** 12 ივლისს მკურნალთა მომავალ მეორე კრების კომიტეტს მეორეჯერა ჰქონდა სხდომა, რომელზედაც კრების პროგრამას ადგენენ. პროგრამას შემდეგს კრებაზედ უკვე შეიმუშავებენ.

*** ფინანსთა სამინისტრო აცხადებს საყოველთაოდ, რომ მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა თანახმად, რომელიც 25 იანვარს იქმნა უმაღლესად დამტკიცებული, 1887 წ. მოჭრილ 25 მან., 10 მან., და 5 მან., ქაღალდის ფულისა და 1866 წ. გამოცემულ 100 მანეთიანის სხვა ახალ ფულზედ გამოცვლა 1902 წლის 1-ლ იანვრამდე შეიძლებაო. ამის გამო ყველა სახელმწიფო კასსები დაუბრკოლებლივ მიიღებენ ზემოდ აღნიშნულს ქაღალდის ფულს 1901 წლის 31 დეკემბრამდეო.

*** განსვენებულის ი. ს. ხატისოვის სახელზედ სტიპენდიის დაარსების საქმე უკვე გადასწყდა. შეკრებილის ფულით სულ ფასიანი ქაღალდებია ნაყიდი და სტიპენდიაც ტფილისის საბალოსნო სკოლაშია დანიშნული ერთის რომელისამე მოწაფისათვისო, სწერს სომხური გაზ. „მშაკი“. სტიპენდია 1901 წ. 1-ლ იანვრიდგან დაენიშნება ვისმე.

*** სასულიერო უწყებამ განმარტება მიიღო, რომ დედათა სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში სავალდებულოდ მხოლოდ იმ ხელთსაქმის შესწავლა უნდა იყოს, რომელიც გლეხის ოჯახშია გამოსადეგიო.

*** სახელმწიფო ბანკის სამმართველომ წინადადება გაუგზავნა ყველა სახელმწიფო კანტორებსა და განყოფილებებს, რომ ამიერიდგან ვექსილის მიმცემთ გვართან ერთად სახელი და მამის სახელიც მოაწერონ ხოლმე ვექსილზედ.

*** ფინანსთა სამინისტრომ საგანგებო მიწერილობით განუმარტა სახაზინო პალატათ, რომ სამრეწველო მოწმობებში, რომლებიც მხოლოდ სავაჭრო წოდების უფლებათა მოსაპოვებლად გააქვთ, არავითარი საერობო და საქალაქო გარდასახადი არ უნდა ერთმეოდეთო.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ბ-ნი რობი გუშინ, 14 ივლისს, საზღვარ-გარედ წავიდა. ბ-ნის რობის საზღვარ-გარედ წასვლას, სხვათა შორის, ის აზრი აქვს, რომ ქალაქის სესხისა, ქალაქის ელექტრონით განათებისა და ფუნიკულერის გაყვანის შესახებ თავისს მრწმუნებელს საზოგადოებას ადგილობრივ მოელაპარაკოს და ზოგიერთი ჯერ გამოურკვეველი მხარე ამ საგნებისა გარდასწყვიტოს.

*** ხუთშაბათს, 13 ივლისს, ქალაქის გამგეობამ თავისის წევრის მ. ს. შესტაკოვის წინადადების თანახმად, დაადგინა გამგეობაში მოსამსახურეთათვის საცხოვრებელ ბინების ასაგებად ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის შედგენა მიანდოს ქალაქის საამშენებლო განყოფილებას. ხარჯი შეტანილ იქმნება ქალაქის გამგეობის მომავალ 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

*** უმართებელესმა სენატმა განმარტა, რომ რკინის გზაზედ დაშავებულთა ზარალის გამონგარიშების დროს მხედველობაში უნდა იქმნეს მიღებული არა მარტო ის ფული, რასაც დაშავებული იმ დღემდე შოულობდა, არამედ ისიც, თუ მომავალში რას მოელოდა.

*** რადგანაც ტფილისის პოლიცმეისტერმა შუამდგომლობა დაიწყო გუბერნიის უფროსის წინაშე, რომ გამოცემულ იქმნას სავალდებულო დადგენილებანი სამიკიტნოებისათვის, საექსარხოსოს მმართველს ყოვლად სამღვდელო ლეონიდსაც შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სამიკიტნოებისათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის დროს სახეში იქმნეს მიღებული აგრეთვე ეკკლესიები და სასულიერო უწყების სასწავლებლებიო.

*** აი როგორ არის გაწერილი საიჯარო და სადგილ-მამულო გარდასახადები კავკასიაში 1901 წლიდგან 1903 წლამდე.

| გუბერნიები. | საიჯარო გაარდასახადი (оброчная подать) | სადგილ-მამულო გარდასახადი დესეტინაზედ. |
|---|---|---|
| ტფილისის | — 484,000 | 5 კაპ. |
| ბაქოს | — 582,000 | 5 „ |
| დაღესტნის | — 206,000 | $8,_2$ „ |
| ქუთაისის | — 145,000 | 5 „ |
| ერევნის | — 555,000 | 5 „ |
| განჯის | — 569,000 | 5 „ |
| ყარსის | — 544,000 | 5 „ |
| ჩერნომორსკის | — 13,000 | $4,_2$ „ |
| თერგის | — 259,000 | $3,_8$ „ |
| ყუბანის | — 67,000 | $4,_5$ „ |
| სულ—3,425,000 | | |

ამ გვარად გლეხებს, რომელთაც სახაზინო მიწა სამუდამო იჯარითა აქვთ აღებული, გარდახდებათ მარტო ხაზინის სასარგებლოდ 3,425,000 მანეთი წლიურად; გარდა ამისა მათვე გარდახდებათ საერობო გარდასახადი—საიჯარო გარდასახადის ყოველ მანეთზედ 57 კაპ.; ეს შეადგენს—1,232,910 მანეთს. მაშასადამე, სულ გარდახდებათ—4,657,910 მანეთი. სადგილ-მამულო გარდასახადი შეადგენს წლიურად 292,668 მანეთს. სულ საერობო გარდასახადი უდრის 2,795,000 მანეთს, აქედგან 2.363,000 მანეთი ახლად შემოღებულ საერობო სადარაჯოს უნდება; დანარჩენი 432,000 მანეთი მოხმარდება სხვა საჭიროებათ გზებისა და ხიდების კეთებას, სკოლებს, ქსენონებს და სხვა საერობო საჭიროებათ. მთელი ჯამი გარდასახადებისა—საიჯარო, სადგილ-მამულო და საერობო იქნება 6,712,668 მან. (2,795,000 + 3,42500 + 292,668) წინედ-კი იყო— 4.482,680, ესლანდელზედ—2,229,988 მანეთით ნაკლები.

*** როგორც შევიტყვეთ, ტფილისის საპარკო სანთლის ქარხანა ამ დღეებში გადააქვთ ახალს შენობაში წყნეთის ქუჩაზედ, № 71-ში.

*** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „კრებულის“ მე-3—4 ნომერი (ერთ წიგნად). შინაარსი: პირველი განყოფ.: 1, „ჩემს მეუღლებს“—ლექსი აკაკისა; 2, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“—მისივე; 3, ქართველი გლეხის შვილი—ხომლელისა; 4, უ. მ. ე. ლ—ძეს—ლექსი რუს-იმერლისა; 5, ანკელინა—მთთხრ. ს. ქვარიანისა; 6, ლექსი სის. მგზავრულისა; 7, ბ-ნ მოსე ჯანაშვილს—ს. გორგაძისა; 8, ისტორია ქართულ გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემისა (გაგრძ.) ზ. ჭიჭინაძისა. მეორე განყოფილება: 1, ბედია და ბედიმარზა—ზღაპარი „ქართვ. ოსებში“-ს მიერ ჩაწერილი; 2, ფშაური ლექსები, შეკრ. გრ. აფშინაშვილის მიერ.

*** ქალაქის ხარჯზედ ქალაქის საუსაზოებათა სახაშოებს აშენებას უკვე შეუდგნენ. აღნიშნული სახაშოები ისე იქმნება აგებული, როგორც ამას სანიტარო წესი მოითხოვს და წინაც ბაღი იქმნება გაშენებული.

*** მიმდინარე წლის მაისში, ქალაქის გამგეობამ ბუხრების მწმენდელს ხოდოროვსკის მოწმობა მისცა, რომ ქალაქს მისრივ საწინააღმდეგო არა არისრა, თუ იგი ბუხრების საწმენდს სახელოსნოს გახსნიდა, მხოლოდ თითოეულის ბუხრის გაწმენდაში სამ შაურზედ მეტი არ უნდა აეღო. ახლა ქალაქის გამგეობას მრავალი საჩივარი მოსდის ხოდოროვსკიზედ, რომ იგი სახლების პატრონებთან თურმე დადიოდა და ქალაქის გამგეობის სახელით ძალას ატანდა, უნდოდათ თუ არა, ბუხრების გაწმენდაში სამ შაურზედ მეტს ართმევდა...

ყოველ დღიური გაზეთი 142 ა, ყოველ-კვირეული—784, თვეში ორჯელ იბეჭდება 387 ჟურნალი. პროვინციაში იბეჭდება 4,051 დრო-გამოშვებით გამოცემა. აქედგან 355 ყოველ-დღიურია და 1,758 ყოველ-კვირეული. ამ რიგად მთელ საფრანგეთში გამოდის 6,736 ჟურნალი და გაზეთი. პარიჟის პოლიტიკურ გაზეთებს შორის 74 ზომიერ რესპუბლიკანელთ ეკუთვნით, 27—რადიკალებსა და სოციალისტებს, 25—კონსერვატორებს, 8—ნაციონალისტებსა და ანტისემიტებს და 20-ც „დამოუკიდებელთ“. საბეჭდავ მანქანების გაუმჯობესობისა და მკითხველ საზოგადოების გამრავლების გამო ფრანგული გაზეთები მეტად იაფადა ჰღირს. არც ერთი გაზეთი 3 კაპეიკზედ მეტად არა ჰფასობს, უმრავლესობის ფასი-კი 1 და 2 კაპეიკია.

**

ტეხნიკამ საგაზეთო საქმეში დიდ წარმატებამდე მიაღწია. ეხლა გაზეთის აწყობასა და დაბეჭდვას სულ რამდენსამე წუთში ასწრობენ. ამ ერთის თუ ორის წლის წინად ინგლისის პარლამენტში გომბეტამ საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა. გომბეტამ სიტყვა საღამოს 7 საათსა და 5 წუთს გაათავა. იმავე საღამოს, 7 საათსა და 20 წუთზედ მანჩესტერის ქუჩებში უკვე ჰყიდდნენ ერთ ადგილობრივ გაზეთს, რომელშიაც გომბეტის სიტყვა იყო დაბეჭდილი. ამ რიგად 15 წუთის განმავლობაში სიტყვა დეპეშით ლონდონიდგან მანჩესტერში გადასცეს, იქ ააწყეს, დაბეჭდეს და ქუჩაშიაც გამოიტანეს გასასყიდად.

ეს კიდევ არაფერი. 1896 წელს, 14 აპრილს, საღამოს 7 საათსა და 35 წუთზედ, ერთის ქარხნის მინდობილებით ტყეში სამი ხე მოსჭრეს. ეს ხეები ქარხანაში მიიტანეს, იქ ჯერ დახერხეს, შემდეგ მანქანების შემწეობით წვრილ ნაჭრებად აქციეს, მეორე მანქანითვე დაჰკუწეს და სითხეს დაამსგავსეს, შემდეგ მესამე მანქანაზედ ამ დაკუწულ ხისაგან ქაღალდი მოამზადეს, ხოლო დამზადებული ქაღალდი $5^1/_2$ კილომეტრის მანძილზედ სტამბაში გაჰგზავნეს და იქ გაზეთი დაბეჭდეს. გაზეთი საღამოს 10 საათზედ იყო მზად. ამ რიგად იმ ხეებისაგან, რომლის ტოტებსაც ტყეში $2^1/_2$ საათის წინად შრიალი გაუდიოდა, $2^1/_2$ საათის განმავლობაში ქაღალდიც მოამზადეს და გაზეთიც გამოსცეს.

საზოგადოდ ტეხნიკას განვითარებამ ძალიან გაადვილა და გაავრცელა ბეჭდვითი საქმე. წიგნებისა და გაზეთების სიიაფე ევროპაში, სხვათა შორის, ამისაგანაც აიხსნება. ძნელი გამოსაანგარიშებელია, რამდენი წიგნი, გაზეთი და ჟურნალი იბეჭდება დღეს ევროპაში. ისეთს პატარა ერსაც-კი, როგორიც ჩეხები არიან, 1000-მდე დრო-გამოშვებითი გამოცემა აქვთ.

***

პატარა ჩეხია მარტო ამ საქმეში არ მისდევს მხარ-და-მხარ ევროპის კულტურულ ერებს: ჩეხელები უნარის, მეცადინეობასა და მხნეობას ყველაფერში იჩენენ. ამას წინად ჩეხებმა, მაგალითად, დიდის ამბით იდღესასწაულეს თვიანთის საერო დაწესებულების—„სასკოლო მატიცის“ ოცის წლის არსებობის იუბილეი.

ჩვენმა საზოგადოებამ ამ რამდენისამე წლის წინად „ივერია“-ში დაბეჭდილ წერილებიდგან უკვე იცის რა არის „მატიცა“ და რა აზრით დააარსეს იგი ჩეხებმა. თითქმის ორი თუ სამი საუკუნეა, რაც ავსტრიის ნემცები სცდილობენ ჩეხების გადაგვარებას და ხემეცებად გადაქცევას. უმთავრეს იარაღად ამ საქმეში მათ სკოლა იხმარეს; მთელი ჩეხია ნემეცურის სკოლებით მოჰფინეს. ამ სკოლებში ჩეხური ენა განდევნეს და ყველა საგნის სწავლება ნემეცურზედ შემოიღეს. აი სწორედ ამ მოსეულ ნემეცების წინააღმდეგ საბრძოლველად და თავიანთის ეროვნების დასაცველად დააარსეს ჩეხებმა 1880 წელს „სასკოლო მატიცა“. „მატიცამ“ უზომო სამსახური გაუწია ოცის წლის განმავლობაში ჩეხიას: დააარსა 127 სასწავლებელი და 4 მილიონი ჰულდენი დახარჯა ჩეხიის მოზარდ თაობის სწავლა-განათლებისათვის.

ათის წლის იუბილეი „მატიცამ“ 1890 წელს გარდაიხადა. ამ წელს „მატიცის“ ხარჯით ინახებოდა 33 სახალხო სკოლა, 33 თავშესაფარი და ერთი გიმნაზია. საზოგადოების მიერვე დაარსებული მეორე გიმნაზია და 15 სახალხო სკოლა უკვე მთავრობის ხელში გადავიდა, რადგანაც კანონის ძალით ხაზინა ვალდებულია თავისს ხარჯით შეინახოს ის სასწავლებელი, რომელშიაც მოსწავლეთა კანონიერი რიცხვი აღმოჩნდება.

დღეს „მატიცას“ 30,000 წევრზედ მეტი ჰყავს. ყველანი, წოდებისა და მიმართულების გაურჩევლად, ცხოველ მონაწილეობას იღებენ „მატიცის“ საქმეებში და ფულად დიდ დახმარებას უწევენ. დიდი შემოსავალი აქვს „მატიცას“ გლეხებისაგან, მაგრამ არც ხელოსნები, ვაჭრები, მუშები და ინტელიგენცია იშურებს ფულს. ყოველ წლიწადს ამ დაწესებულების სასარგებლოდ ფულს ქალაქის საბჭოები, შემნახველი კასსები, ბანკები და სხვა საფინანსო დაწესებულებანიც გადასდებენ ხოლმე.

შეწირულება „მატიცის“ სასარგებლოდ ჩეხთა ცხოვრებაში რაღაც საერო ჩვეულებად გადაიქცა. ყველა სახლში მეჩხდებით „მატიცის“ ყულაბს. შეუძლებელია, ჩეხებში ნათლობისა და ქორწილის დროს ფული არ შეკრიბონ „მატიცის“ სასარგებლოდ. როდესაც ჩეხს შვილი სასწავლებელში შეჰყავს, ამ სასიამოვნო მოვლენის სახსოვრად უეჭველად ფულსა სწირავს „მატიცას“, ასევე იქცევა ბავშვის ერთის კლასიდგან მეორეში გადასვლის დროს. დღემდე საშუალო სასწავლებლის მოსწავლე ჩეხები ყოველ წლიწადს ჰკრებავდნენ თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრები, დაუწმენდინებინათ და ფულსაც იღებდა. ყოველივე ეს ქალაქის გამგეობამ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს აცნობა და სთხოვა, რომ ხოდორკოვსკის წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებანი იქმნენ მიღებულნი.

*** ხუთშაბათს ქალაქის გამგეობას გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა განსახილველად მოიჯარადრეთ ბ-ნ მაჭავარიანისა და სტეპინოვის თხოვნა, რომლითაც იგინი სთხოვენ გამგეობას გადადებულ იქმნას ვადა გლდანიდგან ქუჩების მოსაკირწყლავად ოთხ-კუთხიანი ქვების მოტანისა, რადგანაც, როგორც გლდანის ადგილობრივ მოხელეთაგან აღებულ მოწმობისაგანა სჩანს, მოიჯარადრეთ მეტად ხელს უშლის ხშირი წვიმები. ვ. ჩერქეზიშვილმა გამგეობას წარუდგინა აგრეთვე განსახილველად გუტოს სავაჭრო ფირმის წარმომადგენლის თავ. ჯავახიშვილის განცხადება, რომლითაც იგი თხოულობს მიეცეს ფირმას იჯარით ქალაქისათვის საჭირო ქვის ერთის ნაწილის მოზიდვის საქმე. გამგეობამ დაადგინა: 1) მიიღოს მაჭავარიანისა და სტეპინოვისაგან უკვე მოტანილი ქვა ხელშეკრულების თანახმად და დაავალოს მათ, რომ 1900 წლის სექტემბრის დამლევამდე მოიტანონ კიდევ სულ 250 ოთხ კუთხი საჟენი ქვა და შემდეგ-კი თავისუფალნი იყვნენ ქვის მოტანისაგან; 2) შეკრან პირობით გუტოს სავაჭრო ფირმის წარმომადგენელს თავ. ჯავახიშვილს, რომელმაც მცირე აზიიდგან უნდა მოუტანოს გამგეობას ქუჩების მოსაკირწყლავად 400 ოთხ კუთხი საჟ. ქვა სამის თვის განმავლობაში. ამასთანავე დადგენილებით გამგეობა სთხოვს თავ. ჯავახიშვილს 500 მან. წარმოუდგინოს გამგეობას პირობის წერილის უზრუნველ-საყოფელად.

*** როგორც გვატყობინებენ, კოჯრის გზაზედ თოფის წამლის საწყობიდგან ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ მოუპარავთ ხუთი ფუთი თოფის წამალი. ქურდების აღმოსაჩენად ყოველივე ზომები მიღებული ვისგანაც ჯერ არს.

*** გუშინ წინ, 13 ივლისს, პოლიციის მე-6 ნაწილში, სპარსეთის ქვეშევრდომმა უსეინ-აზიტოვმა განაცხადა, რომ ღამით ჩემის სადგომის გაღებულ ფანჯრიდგან ძილის დროს შეპარულან ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი, მოუპარავთ ფულად 143 მანეთი და სხვა-და-სხვა ძვირფასი ქვები, ვერცხლისა და ოქროს ნივთები, 223 მანეთად ღირებული, სულ 366 მან. და წასულან. ქურდების აღმოსაჩენად ყოველივე ღონისძიება იქმნა მიღებული. ეჭვი არავისზედ არა აქვთ.

## თელავის სასულიერო სასწავლებლისა გამო მაზრის სამღვდელოების წლიური საოლქო კრება.

როგორც ყოველს წელს, წელსაც სასწავლებლის გამგეობამ ოლქის სამღვდელოთა კრება მოიწვია მომავალის 1901 წლის სასწავლებლის შესახებად საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და დასამტკიცებლად. თელავის სასწავლებელს ადგილობრივი სამღვდელოება ინახავს და უმაღლესი მთავრობა მხოლოდ ნორმალურ კლასების მასწავლებლებს აძლევს ჯამაგირს. ამ ნაირად სამღვდელოება, რომელიც 161 კრებულისაგან შესდგება, ხოველ-წლივ 8,000 მანეთამდე ფულს იხდის, რომლიდგანაც, საშუალო რიცხვით, თითოეულს კრებულს თავისის ეკლესიით 50 მანეთამდე ჰხვდება. სამღვდელოების წლევანდელი კრება წარსულ წლის კრებებისაგან იმითი განირჩეოდა, რომ კრების დეპუტატების გარდა დაესწრნენ მთელის ოლქის სამღვდელოების ბლაღოჩინებიც. მიზეზი ამ გარემოებისა ის იყო, რომ ქ. სიღნაღის დეკანოზს მ. ბერიევს მოეხსენებინა ექსარხოსისათვის, რომ მისს გამგებლობის ქვეშ მყოფს ეკლესიებს მეტად დიდი ხარჯი აქვთ შეწირილი თელავის სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოდ და არ ძალუძთ ამ ხარჯის გაღება. თვით სასწავლებელიკ არ იძლევა ისეთს ნაყოფს, რომლისთვისაც ეს ამოდენა ხარჯის გაღება და ეკლესიების დაცარიელება ღირდესო. ექსარხოსი მ. ბერიევის რაპორტზედ აწერდა: „გადაეცეს მომავალს თელავის საოლქო სამღვდელოების კრებას განსახილველად, რომ თუ ვინიცობაა ადგილობრივს სამღვდელოებას არ შეეძლება საკუთარის სასწავლებლის შენახვა ქ. თელავში, ხომ არ ამჯობინებს თავის სასწავლებელი ტფილისის სამღვდელოებას შეუერთდეს და მასთან ერთად ქ. ტფილისში იქონიოს ერთი სასწავლებელი ორ-ორის განყოფილებით, რისთვისაც ითხოვდა მათი მეუფება მთელის ოლქის ბლაღოჩინებიც უთუოდ იყვნენ მოწვეულნი კრებაზედ დასასწრებად. აი, ამის წყალობით, ბევრი ჯვარ-ოსანი დეკანოზი აზრწყინებდა დღევანდელს კრებასა და ახალსაც ბევრს მოველოდით. სამღვდელოება შეიკრიბა 4-ს ივლისს, ამოირჩია თავმჯდომარედ დეკანოზი მ. ხელაშვილი, რომელიც მაშინვე შეუდგა საქმის განხილვას. რა საკვირველია, პირველი კითხვა ექსარხოსის მიერ წარმოდგენილი საგანი იყო,—რა ემჯობინება—დარჩეს სასწავლებელი თელავში, თუ იგი ტფილისისას შეუერთდეს? უნდა ვსთქვათ, რომ სანამ კრებას მოიწვევდნენ თელავში, წინადვე მოდიოდა ხმები, რომ მთლად სიღნაღის მაზრის სამღვდელოება და აგრეთვე ფშავ-ხევსურეთისა და თიონეთის მაზრის სამღვდელოება იმ აზრისაა, რომ ქ. თელავში გაუქმდეს სასწავლებელიო. ამბობდნენ, რომ დეკ. ბერიევს და აგრეთვე სხვა ბლაღოჩინოთაც სიღნაღისას, ზაქათალისას და თიანეთისას თავიანთს კრებაზედ გარდაუწყვეტიათ გააუქმონ თელავში სასწავლებელი და ტფილისისას შეუერთონ იგი. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ საქმემ არ გაამართლა და რა წამსაც-კი კრება გაიხსნა და სასწავლებლის ინსპექტორმა ნ. ი. მამინეიშვილმა გადასცა კრებას განსახილველი საქმე, რომ კრების წევრებმა პირველად პასუხი უნდა გასცენ ექსარხოსისაგან წარმოგზავნილს კითხვასაო, მაშინათვე დეკ. ბერიევმა სიტყვა ითხოვა და გამოსთქვა, რომ ხმაა გავრცელებული, თითომც მე დიდად მოწადინებული ვიყო ამ სასწავლებლის დახურვასა და ჩემს რაპორტსაც ეგ მიზანი ჰქონდესო. მე სრულიადაც არა ვარ მაგ ბოროტის აზრისა და არასოდესაც არ მომიწადინაა ამ სასწავლებლის გაუქმება; მე მხოლოდ მსურდა და ეხლაცა მსურს, რომ ეკლესიებს შეუმცირდეს გარდასახადი; ვიკისროთ ჩვენ მოშეტებული ხარჯი და ვიზრუნოთ იმაზედაც, რომ მომავალში არამც თუ სასწავლებელი გაუქმდეს, არამედ მას ჰქონდეს თავისი საკუთარი კარგად მოწყობილი პანსიონიც. მოისმინა-რა კრებამ დეკ. ბერიევის სიტყვები, საჭიროდ აღარა სცნო ბევრი ლაპარაკი სასწავლებლის შესახებ, რადგანაც სასწავლებლის გადატანა ქ. ტფილისში ღარიბ ლატაკ მეფსალმუნეთა, ობოლთა და შეუძლებელ მღვდლის შვილების დაღუპვას მოასწავებდა, რომელთა რიცხვიც სხვებს ბევრად სჭარბობს თელავის სასულიერო სასწავლებელში. სასწავლებელში 130-ზედ მეტი იმისთანა ღარიბი მოსწავლეა, რომელთ შენახვაშიაც მშობლები სახლის პატრონთ თვეში 3—5 მანეთზედ მეტს არ აძლევენ და აბა რა საფიქრებელი იყო და არის, რომ ამ ლატაკმა ხალხმა ქ. ტფილისში შესძლოს შვილების გამოზრდა? ცხადი იყო, რომ მთელი ეს ამოდენა მოსწავლე უმაწვილები უნდა სწავლას გამოსთხოვებოდნენ და მერე განა ისეთი გულ-ქვა დეპუტატი როგორ იქნებოდა, რომ ეთქო: გაუქმდეს თელავში სასწავლებელიო. ამისათვის სამღვდელოება პირველადვე იმ საქმეს შეუდგა, თუ როგორ გაეწეროთ ხარჯი: ყველამ თანასწორად, თუ შეძლებისა-დაგვარად. მცირე ლაპარაკის შემდეგ სამღვდელოებამ უმჯობესად სცნო, ხარჯი სამღვდელოებას შეძლებისდაგვარად შეეწეროდა. ამისათვის მთელი სამღვდელოება, ე. ი. 161 კრებული სამ ხარისხოვან ჯგუფად იქმნა გაყოფილი: პირველს შეადგენენ ისინი, ვისაც დიდი მრევლი ჰყავს, მეორეს—ვისაც საშუალო მრევლი და ხაზინიდგანაც ჯამაგირები აქვთ არა ნაკლებ 30 თუმნისა, მესამეს შეადგენენ უჯამაგირონი და მცირედის მრევლის მქონენი. პირველის რიგის კრებულს შეაწერეს 30 მანეთი, მეორისას 25 მან. და მესამისას 20 მან. ეს პირველი ნაბიჯია ამგვარად ხარჯის გაწერისა, ე. ი. შეძლების მიხედვით. რასაკვირველია, როგორც ახალმა დაწყებულმა, ამ ხარჯის გაწერამ ბევრი აყალ-მაყალი ასტეხა სამღვდელოებაში, თუმცა მართლაც იყო უკმაყოფილების მაგალითები; აი თუნდაც ასეთი, რომ 300 კომლის პატრონებმა და ასი თუმნის ჯამაგირის მქონეთ კეთილ-ინებეს მესამე რიგში ჩამდგარიყვნენ, მაგრამ, როგორცა ვთქვით, ეს ახალი საქმეა და შემდეგში გასწორდება. უნდა ითქვას, რომ ორისა თუ სამის გარდა, მოწვეულ დეპუტატთა და ბლაღოჩინთა შორის თითქმის ყველა შეუძლებლადა სთვლიდა თავისს მრევლსა და ეკლესიას და უკანასკნელს განყოფილებაში მოექცნენ; ისინი-კი სამღვდელოებთაგან, ვინც კრებას არ დაესწრნენ, წინ მოაქციეს. მაგრამ, დრო მოვა და ბევრნი უკანანი შესაძლოა წინ მოექცნენ და წინანი უკანა. ამით არავინ არ უნდა გაიტეხოს გული.

—

ყებთ და გავიხსენოთ დღემდისაც რამდენს უმსხვერპლებია თავი ამ კეთილშობილურის მისწრაფებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის მკაცრ და ჩვენის ახალგაზრდებისათვის აუტანელ ჰავასთან ერთად ნივთიერი გაჭირვება ველარ აუტანია და თუ სრულიად არ მოუსწრაფებია სიცოცხლე, ნახევრად მაინც დაუუძლურებია ორგანიზმი. ეს-კი თითოეულმა უმაღლესს სასწავლებელში ნამყოფმა ქართველმა კარგად იცის: ან თავისს თავზედ გამოცდით, ან-და ამხანაგ სტუდენტების მაგალითიდგან.

გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და ვიფიქროთ, როგორ და რა ნაირად მოევლება ამ გაჭირვებას.

დღემდის ჩვენში არსებული საშუალებანი ღარიბ სტუდენტების დასახმარებლად, ამა თუ იმ კერძო ადამიანთა და საზოგადო დაწესებულებისაგან ნაღონები, ეჭვი არ არის, ნახევარზედ კი არა, მესამედზედაც ვერ აკმაყოფილებს გაჭირვებულს მოსწავლე ახალგაზრდობას; მეორე მხრივ, თუნდაც აკმაყოფილებდეს, წარმოვიდგინოთ, რამდენად ილახება ახალგაზრდა კაცის თავმოყვარეობა, როდესაც იგი იძულებულია ხშირად იმისთანა კაცსაც-კი მიჰმართოს დახმარებისათვის, რომელიც სრულიად არ თანაუგრძნობს გულით საზოგადო განათლებისა და საზოგადო დახმარების საქმეს, მაგრამ კეთილისმყოფელობს მხოლოდ იმადა და იმისთვის, რომ საზოგადოებაში ქველმოქმედის სახელი გაიგდოს და მერე თითოეულს მოხერხებულს შემთხვევაში თავი მოიწონოს, ან-და,—ასეც მოხდება ხოლმე,—წააყვედროს, თუ სიკეთე ვისთვისმე უქმნია; წარმოვიდგინოთ ისიც, რომ საზოგადოებას უხინჯო წევრიც არ გამოელევა და ამათი ზოგიერთი კერძო გულშემატკივარი სტუდენტების გაჭირვებისა იქმნება უმართებულოდ სარგებლობს ვისიმე სტუდენტის სახელითა და საზოგადოების ნდობით და საქმის უკედ

---

შორის 100 ჰულდენს, ამ ფულით „მატიცის“ „დამაარსებლის“ დიპლომს ჰყიდულობდნენ და კლასში ჰკიდებდნენ; უფროს კლასში გადასვლის დროს, ეს „დიპლომებიც“ თან გადაჰქონდათ. ეხლა მთავრობამ მოსწავლეებს აუკრძალა ფულის შეკრება „მატიცის“ სასარგებლოდ, ამიტომ ისინი საიდუმლოდ აგროვებენ ფულს და რეალურ სასწავლებლის ან გიმნაზიის გათავების დროს ერთად ყიდულობენ რამდენსამე „დიპლომს“.

ყოველ წელიწადს „სასკოლო მატიცა“ ჰბეჭდავს აუარებელ ფოსტის ქაღალდსა და კონვერტს, აგრეთვე ბლანკებს სადარბაზო ბარათებისათვის, ქორწილში მისაწვევ ბარათებისთვის და სხვათათვის. ქორწილის დროს სტუმრები, რომელთაც „მატიცის“ ბლანკზედ დაბეჭდილი მისაწვევი ბარათები მიიღეს, უეჭველად ერთმანეთ შორის ფულსა ჰკრებავენ, ყიდულობენ „დიპლომს“ და საჩუქრადართმევენ ახლად ჯვარ-დაწერილთ. ეს „დიპლომი“ ყოველთვის სასტუმრო ოთახის საპატიო ადგილას ჰკიდია ხოლმე. სიკვდილის შემდეგ ანდერძით თითქმის ყველა ჩეხი უტოვებს რასმეს „მატიცას“. კომპოზიტორები ყოველთვის თავიანთ ახალის გამოცემის რამდენსამე ას ცალს სწირავენ. ისე წელიწადი როგორ გავა, რომ ლიტერატორებმა განსაკუთრებული კრებული არ გამოსცენ „მატიცის“ სასარგებლოდ. ყველა ამას გარდა იმართება კონცერტები, ბალები, მასკარადები, ლატარიები და სხვა. მარტო წმ. ვაცლავის დღესასწაულის დროს, 28 აგვისტოს, „მატიცის“ სასარგებლოდ ჩეხიაში რამდენიმე ათი-ათასი ჰულდენი იკრიბება. იმ ვაჭრებსა და ქარხნის პატრონებს, რომელნიც „მატიცისათვის“ ფულს არ იშურებენ, ნება ეძლევათ თავიანთ საქონელს დააწერონ „ჩეხის სასკოლო მატიცის სასარგებლოდაო“. ამ წარწერას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრებისათვის: აუარებელი მუშტარი ემატებათ.

ერთის სიტყვით ჩეხებმა ყოველ ხერხს, ყოველ ოსტატობასა და საშუალებას მიჰმართეს, ოღონდ-კი ფული შეჰკრიბონ სწავლა-განათლებისათვის. „სასკოლო მატიცა“ დღეს ყველა ჩეხის საყვარელ და ამასთან საამაყო დაწესებულებას შეადგენს. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ „მატიცას“ წინაშე ჩეხელ ქალებს ისეთივე სამსახური მიუძღვით, როგორიც კაცებს. ქალები სცდილობენ უმთავრესად ფულის შეკრებას „მატიცის“ სასარგებლოდ, ისინი ჰმართავენ ბალებს, კონცერტებს, საცეკვაო საღამოებს; ყულაბები იმათ დააქვთ და სხვა.

***

ჩეხელი ქალები საზოგადო საქმეში ისეთსავე ერთგულებას იჩენენ, როგორსაც ამერიკელი ქალები. ხოლო თუ რა მხნე და მშრომელი ადამიანია ამერიკელი ქალი, ამას ნათლად გვიჩვენებს შეერთებულ შტატების საზოგადოებრივ ცხოვრების უკანასკნელ 15—20 წლის ისტორია.

ამერიკელ ქალისათვის ოჯახი დღეს მეტად პატარა სამოქმედო ასპარეზს შეადგენს, ამიტომ იგი ყველა საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებს. ქალების მეცადინეობის წყალობით მოხდა საქორწინო კანონების რეფორმა, გაუმჯობესდა მუშა ქალთა ცხოვრების პირობანი, აიკრძალულ იქმნა ბავშვების მუშაობა ქარხნებში, დაარსდა მრავალი საქველ-მოქმედო საზოგადოება და დაწესებულება, გაუმჯობესდა ქალაქების სანიტარული და ჰიგიენური პირობანი; ქალები აარსებენ საკვირაო სკოლებს, ჰმართავენ გასართობებს ხალხისათვის, მუზეებს, გიმნაზიებს და უნივერსიტეტებს ქალებისათვის, ბიუროებს ადგილის მოსაძებნად, უსასყიდლო კლინიკებს, თავშესაფარებს და მრავალ სხვას; შეუძლებელიც-კია ყველა იმის ჩამოთვლა, რასაც ამერიკელი ქალები საზოგადოების სასარგებლოდ აკეთებენ.

ამ ბოლოს დროს ამერიკელი ქალები გულ-მოდგინედ შეუდგნენ კლუბების დაარსებას, მაგრამ ეს კლუბები ბევრით განსხვავდებიან ინგლისელ ქალთა კლუბებისაგან. მაშინ, როდესაც ინგლისში კლუბი შესასვენებელ, სამუსაიფო და დროს გასატარებელ ადგილს შეადგენს, ამერიკაში კლუბი უეჭველად რამე საგნის პრაქტიკულად განხორციელებას მოსდევს. არის კლუბები ქალებისა ეკონომიურ კითხვების შესასწავლად, რომელისამე საპოლიტიკო პროგრამის გასავრცელებლად, სამრეწველო ან სავაჭრო საქმის დასაწყობად და სხვ. დღეს ეს კლუბები შეადგენენ ერთ კავშირს, რომელიც 1200 ქალთა კლუბს შეიცავს. კავშირის წევრთა რიცხვი 150,000-ს აღემატება. რასაც აქამდე ცალკე [illegible] ქალები [illegible]. ზემო სართულში მოთავსებულია კიდევ მისაღები ოთახები, წიგნთ-საცავები, სამკითხველოები და სხვანი.

აი ქალთა ზოგიერთ კლუბის სახელი: „ლიტერატორ ქალთა კლუბი“, „რომანის მწერალ ქალთა კლუბი“, „მიმდინარე საქმეთა კლუბი“, „გათხოვილ ქალთა კლუბი“, „გაუთხოვარ ქალთა კლუბი“, „მგზავრ ქალთა კლუბი“, „საქმის ქალთა კლუბი“ და სხვანი.

ი. ა—ძე

სიებს მცირედი შეაწერა. რაც შეეხება სა წავლებლისაგან წარდგენილს ხარჯთ-აღრიცხვას, იგი მცირედის შემოკლებით მთლად მიიღო, ჯეროვნად მოუმატა გალობის მასწავლებლით. მცირედად მოსამზადებელ კლასის მასწავლებლით და ამნაირად მშვიდობიანად დასრულდა კრება მეოთხე დღეზედ. ვუსურვოთ, რომ კვლავ უკეთ ეზრუნოთ სასწავლებლისათვის, მით უმეტეს, რომ ის ნაკლულევანებანი, რომელთაც ბრალსა სდებდნენ, ე. ი. წესიერად ვერ ამზადებს მოწაფეებს სემინარიისთვისაო, დაუღალავის შრომით და მეცადინეობით ზედამხედველთა და მასწავლებელთა მხრივ თითქმის დაძლეულია და სასწავლებელი წესიერს გზას ადგას.

დამსწრე დეპუტატი

მიტროპოლიტის იოანიკეს სულ[...] მოსახსენებლად სიონის ტაძარ[...] გარდახდ-ლი იქნება წირვა და პან[...] შვიდი. წირვას გორის ეპისკოპო[...] ყოვლად სამღვდელო ლეონიდი გა[...] დაიხდის.

⁂ კავკასიის საიმპერატორო ს[...] სოფლო-სამეურნეო საზოგადოებ[...] საბჭოს მომავალის კვირიდგან ყო[...] ველს სამშაბათობით სხდომები ექ[...] ნება, რომლებზედაც საბჭო შეუდ[...] გება 1901 წელს განზრახულ კავკ[...] სიის სამეურნეო გამოფენისათვის ს[...] ჭირო პროგრამის შემუშავებას.

⁂ როგორც მკითხველებმა უ[...] ყიან, გუშინ, 14 ივლისს, ტფილ[...] სის პირველ განყოფილების სასამა[...] თლოს ბოქაულთან საჯარო ვაჭრო[...] ბით გასასყიდად დანიშნული იყ[...] ვალის დასაკმაყოფილებლად სომხ[...] რი გაზეთი „ნორ-დარი“. გაზეთ[...] საჯაროდ გაყიდვა ტფილისის ოლქ[...] სასამართლოს განკარგულებით შეჩ[...] რებულ იქმნა.

⁂ გუშინ, 14 ივლისს, კავკასი[...] უმაღლესს მთავრობის განკარგულე[...] ბით შემდგარმა განსაკუთრებულ[...] კომისიამ დაათვალიერა და დაწვრ[...] ლებით გასინჯა ქალაქის პირვე[...] ნაწილში არმაკუნისეული სახლ[...] რომელიც დღეს მილიონოვისა დ[...] იზმიროვისას ეკუთვნის. კომისია ერთ[...]

ყოველ დღიური გაზეთი 142 ა[...] ყოველ-კვირეული — 784, თვეში ორ[...] ჯელ იბეჭდება 387 ჟურნალი. პრო[...] ვინციაში იბეჭდება 4,051 დრო-გა[...] მოშვებით გამოცემა. აქედგან 35[...] ყოველ-დღიურია და 1,758 ყოველ[...] კვირეული. ამ რიგად მთელ საფრან[...] გეთში გამოდის 6,736 ჟურნალი დ[...] გაზეთი. პარიჟის პოლიტიკურ გაზე[...] თებს შორის 74 ზომიერ ოესპუბლი[...] კანელთ ეკუთვნით, 27 — რადიკალე[...] ბსა და სოციალისტებს, 25 — კონ[...] სერვატორებს, 8 — ნაციონალისტებ[...] სა და ანტისემიტებს და 20-ც „და[...] მოუკიდებელთ“. საბეჭდავ მანქანები[...] გაუძლიერესობისა და მკითხველ საზო[...]

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ივლისი

**პეტერბურგი.** გროდეკოვის დეპეშა, ხაბაროვსკიდგან გამოგზავნილი: „6 ივლისს ჩინელებმა ხელ-ახლა მიიტანეს იერიში ნიკოლსკის ჯარის მოწინავე რაზმზედ ეხოს ციხესთან, მაგრამ განდევნილ იქმნენ დიდის ზარალით. 7, 8 და 9 ივლისს ჩინელებს ჩვენი ჯარი აღარ შეუწუხებიათ. 8 ივლისს ხარბინის რაზმის მოწინავე ჯარის-კაცებმა გაიარეს სოფელი ვანლიხოტსანი, რომელიც ფუ..დინიდგან ზემოთ 50 ვერსის მანძილზედ მდებარეობს. გენერალი სახაროვი იარაღს ართმევს ჩინელ დარაჯებს, ხოლო ვინც წინააღმდეგობას აცხადებს, იმათ იარაღითა სჯის“.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ უარ-ჰყო წინადადება იმის შესახებ, რომ ჩემბერლენის პოლიტიკას სამხრეთ აფრიკის საქმეში პროტესტი გამოეცხადოს. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის ორივე რესპუბლიკა შემოერთებისათანავე თვით-მმართველობას მიიღებენო.

**შანჰაი.** ადმირალი სეიმური და გენერალი გეზლი 11 ივლისს ვეიხაი ვეიში მოვიდნენ.

**ნიუჩუანი.** 13 ივლისს რკინის გზის ლიანდაგზედ მუკდენსა და ტიანძინს შუა მატარებლები და ვაგონები გაანადგურეს.

**შანჰაი.** „დიდმა მუშტმა“ დააქცია შანჰაი ჩუან-ძიანო—ქოუს რკინის გზის ერთი ნაწილი.

**კანტონი.** ლიხუნ-ჩანგის მოადგილემ ტაკსუმ, ევროპიელთა დიდმა მტერმა, უბრძანა დააჩქარონ შეიარაღება და გამაგრება ზღვის ნაპირზედ მდებარე ადგილებისა და მოითხოვა, რომ წავიდნენ იქ მყოფ ევროპიელთა პატარა სამხედრო გემები. ამ გემებს შორის ერუი საფრანგეთის გემია, ერთი ინგლისისა და ერთიც ამერიკისა. ეს გემები ბოკას სიმაგრეებისაკენ უნდა წავიდნენ. ჩინეთის სამხედრო გემებმა, რომლებზედაც ზღვაოსნებად „შავის დროშის“ მომხრენი არიან, ყაჩაღობას მიჰყვეს ხელი შამეს არხში; 18 სხვა გემი საიმპერატორო გემთ-საშენებელს ქვემოთა სდგას. კანტონის მცხოვრებნი თანდათან მტრულად ექცევიან უცხო-ქვეყნელთ.

**შანჰაი.** როგორც ფუჩანიდგან გამოგზავნილ ვიცე-კოროლის ხუბეს დეპეშიდგანა სჩანს, მას უბრძანებია ხანკოუზედ მიმართული ზარბაზნები მოშალონ. მაგრამ ამასთან ვიცე-კოროლი შიშობს დიდხანს ჯარს მორჩილებაში ვერ ვიყოლიებო.

14 ივლისი

**პარიჟი.** ლონდონისა და სხვა სახელმწიფოთა კაბინეტებს შორის მოლაპარაკებაა ჩინეთის საქმეების შესახებ. კაბინეტები ჰფიქრობენ, რომ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი პეკინში უვნებელნი არიან. მათის აზრით ჩინელებს ელჩები ამანათებადა ჰყავთ, უთუოდ ევროპის ჯარი მალე გაემართება პეკინისაკენ.

**ბრემენგაფენი.** იმპერატორი ვილჰელმი ნორვეგიიდგან მოვიდა.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ ჩინეთიდგან მთავრობას ოფიციალური ცნობები არ მიუღიაო.

**ბერლინი.** აქაურ იაპონიის წყაროდგან იუწყებიან: შანდუნის გუბერნატორმა პეკინიდგან 5 ივლისს გამოგზავნილი წერილი მიიღო, საიდგანაცა სჩანს, რომ გენერალ იუნლუს უთხოვნია ტახტისათვის, გაამხნევეთ ელჩები და ამით ნზარი დაუჭირეთო. ეს თხოვნა შეუსრულებიათ, და პასუხი მოვიდა, რომ ყველა ელჩები ცოცხალნი არიან და მშვიდობიანობის აღდგენას თხოულობენო. ამის შემდეგ ძუნგ-ლი იამენის მოხელე ყოფილა საელჩოში და ყველა ელჩთან ულაპარაკნია. 6 ივლისს გადაუწყვეტნიათ, მოხსენება მიართვან ბოღდიხანს და სთხოვონ საელჩოებისათვის საჭირო სურსათი, სთხოვონ აგრეთვე, რომ შემდეგ ელჩები ტიან-ძინში იქმნას გაგზავნილი და თან დასაცველად ჯარი გააყოლონ. გენერალ იუნლუს დიდი შრომა უხდება შუამდგომლობის დროს უცხოქვეყნელთა ჯარის, რომელიც ჯიპკას ხიდის ბოლოში სამხრეთითა სდგას, და ტუანის ჯარის შორის, რომელიც ხიდის ჩრდილოეთითაა. ბრძოლა-კი მოისპო.

## წერილი რედაქციის მიმართ

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბათუმის ქართული სკოლის მზრუნველი კომიტეტი ვალდებულად სთვლის გამოუცხადოს უღრმესი მადლობა: ელისაბედ ზ. ასულს გინკულოვისას, ნინო დ. ასულს ქიქოძისას, კნეინა სოფიო ნ. ასულს წულუკიძისას, ა. ი. გოგოლაშვილისას, პელაგია ალექსანდრეს ასულს ლომინაძისას, ნ. დ. ასულს ბერძენიშვილისას, ეფემია ი ასულს საბაევისას, ა. ფილიპოვისას და ფ. ფილიპოვს, რომლებმაც მიიღეს თავიანთს თავზედ შრომა და მოაგროვეს აღნიშნული სკოლის სასარგებლოდ ბაზრის გასამართავად ქვემო აღნიშნული ნივთები და ფულები. აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და თავიანთი წვლილი ამ საქმეს შემოსწირა.

სია შემომწირველთა: მარიამ ი. ასულმ ელიავასამ 2 სურათი ჩარჩოთი, ღირებული 25 მან., ჟაპო თებზაიასამ ერთი აბრეშუმის მოსახურავი, ღირებული 5 მან., ძველი სენაკის სკოლაში მოსწავლემ ნატალია გამსახურდიამ ათი სხვა-და სხვა ნივთი, ღირებული 6 მან., იონა ლოლუამ სამი სხვა-და-სხვა ნივთი, ღირებული 4 მან., ანტონ მ. მუჯირმა ოთხი სხვა-და-სხვა ნივთი, ღირებული 3 მ. 50 კაპ., ბ-ნმა პაპანდოპულომ ერთი შალი, ღირებული 1 მ. 50 კაპ., ბ. კალმიკოვმა ოთხი სხვა-და-სხვა ნივთი, ღირებული 2 მან., ვ. კუპრაძემ ოთხი ნივთი, ღირებული 1 მან. 50 კაპ., ე. ადაამ ერთი აბრეშუმის ცხვირსახოცი, ღირებული 1 მ. 50 კაპ., კ. დარჩიამ ორი წყვილი ფეხ-საცმელი 6 მან., ბ-ნებმა იაბლონკომ და ებშტეინმა ოთხი ნივთი, ღირებული 5 მან., გერონტი ყ. ტუსკიამ ათი სურათი, ღირებული 4 მან., დომენტი გაბუნიამ ოთხი ნივთი, ღირებული 6 მ., №№ ერთი დოქი, ღირებული 10 კაპ., ს. ქელიძემ შვიდი სხვა-და-სხვა ნივთი, ღირებული 1 მ. 60 კაპ., გ. მაჭავარიანმა ერთი ვაზა, ღირებული 1 მან., დ. ჩიქოვანმა ორი სხვა-და-სხვა ნივთი, ღირებული 4 მან., იუსტინ. ჩიქოვანმა ერთი სარკე, ღირებული 3 მან. ფილიპე მჭედლიძემ ერთი სარკე, ღირებული 3 მან., №№ სამი სხვა-და-სხვა ნივთი, ღირებული 2 მან., პეპულო გრიგოლიასამ ექვსი ფინჯანი თეფშებით, ღირებული 2 მ. 50 კაპ., ქ. ნინო დავითის ასულმა ქიქოძემ ხუთი ნივთი, ღირებული 4 მ. 50 კაპ., ბ. ზეინგერმა და ამხ. ერთი საკერავი მაშინა, ღირებული 15 მან., ივანე მ. კახიანმა ათი ნივთი, ღირებული 10 მან., ნიკიფორე ნიკიფორიდმა ათი ნივთი, ღირებული 6 მ. 25 კაპ., ბ-ნმა სინხოვიჩმა ერთი ბუდილნიკი, ღირებული 3 მან.; გერასიმე ქეიშვილმა ოც და-შვიდი ნივთი, ღირებული 6 მ. 30 კაპ., სოლომონ საბაშვილმა 10 ნივთი, ღირებული 6 მ. 25 კ., ბ-ნმა პაპანდოპულომ ერთი ტუფლი, ღირებული 3 მან. 50 კაპ., ბ-ნმა ელეფთერიადისამ ცხრა ნივთი, ღირებული 5 მან., ბ-ნმა ლიოზნიპულომ სამი ტუფლი, ღირებული 3 მან., კაპილმა ერთი კარტუზი, ღირებული 1 მ., ბერკოვიჩმა ერთი ნივთი, ღირებული 1 მ. 20 კაპ., მინკინმა ერთი ნივთი, ღირებული 1 მან., მარგარიტოვმა ორი ნივთი, ღირებული 1 მ. 20 კაპ., სპანაკიმ ორი ნივთი, ღირებული 1 მ. 50 კაპ., მეტაქსამ ერთი ნივთი, ღირებული 2 მ ნ., ხაჩიკიანმა ერთი ნივთი, ღირებული 1 მან., გრიგორიადიმ ოთხი ნივთი, ღირებული 1 მან. 30 კაპ., ემბეკელიანმა ორი ნივთი, ღირებული 1 მ., ბ. ერთი ნივთი, ღირებული 75 კაპ., ბ ნთ კაბაჩნიკოვმა ორი ნივთი, ღირებული 5 მ., სარსადენიდიმ ერთი სურათი, ღირებული 1 მან., თავად სიმონ ანდრონიკოვმა ხუთმეტი ბოთლი ღვინო, ღირებული 4 მან. 50 კაპ., მარიამ ანჯაფარიძისამ ერთი ვერცხლის საათი, ღირებული 8 მან., ე. კანდელაკმა ერთი წყვილი ვაზა, ღირებული 3 მან., №№ ერთი ნივთი, ღირებული 1 მან., ქ-ნმა ანნა პრეობრაჟენსკისამ ოთხი ნივთი, ღირებული 3 მან., №№ ერთი საბანი, ღირებული 2 მან., ნიკოლოზ ა. საპაევმა და ფ. ფილიპოვმა 14 სხვა-და-სხვა ნივთი, — 30 მან., ნ. იაკალისმა ცხრა სხვა-და სხვა ნივთი — 5 მან., ბ. ჩერტკოვმა 10 სხვა-დ ნივთი — 8 მან., ბ. პაპამოსკიჩმა 2 ნივთი — 2 მან., ძმებმა გალუსტოვებმა 9 ნივთი — 4 მან., ი. თავართქილაძემ 1 ტუფლი — 1 მან., მაქსიმე კიკვაძემ ერთი მოსახურავი — 7 მან., ბ-ნმა პარასკევაპულომ სამი ნივთი — 2 მან., პანაიოტი სიმონიდიმ თერთმეტი ნივთი — 8 მან., ალასარ ელიზბარიაცმა დუხები — 2 მ. 80 კ., ლომინაძემ და ბერძენიშვილმა ოცდა-ათი ნივთი — 18 მან., ლავრენტი ხუნგიამ და ივლიანე ქინქლაძემ — 4 მან. 50 კაპ., სერგეი შატიროვმა ოცი ბოთლი ღვინო — 5 მან., სოლომონ ცვერიანოვმა სამი ნივთი — 3 მან., ბ-ნებმა ბიტტომ თერთმეტი ნივთი — 8 მან., სანდეცკიმ ოთხი სურათი — 4 მან., მათე ი. ნიკოლაძემ ოთხი წიგნი — 4 მან. 50 კაპ., ახილეს დიმიტრიადიმ ორი ნაჭერი ბუმაზე 6 მ., ბ-ნმა გაროდნიკოვმა 8 ნივთი 8 მ., სპანაკიმ ორი სავარცხელი 30 კ., სპირდონ ა. გურგენიძემ ორი ტომარა ფქვილი 2 მ. 50 კაპ., არშაკ ცატუროვმა ცხრა ნივთი 5 მ., ბ-ნმა მაგარამოვმა ორი ნივთი 2 მ. 50 კაპ., მელიტონ გოგორიშვილმა და ი. ხარაბაძემ 1 ნივთი 2 მ., იულო დუმბაძემ სასმელები 5 მ. 50 კაპ

ფულად შემოსწირეს:

ვაქსტაფმა და ბლეიმ 10 მან., ი. ს. კოშკინმა 10 მან., რ. კახიანმა 5 მან., დ. გუგუშვილმა 5 მან., ს. ვარძელოვმა 5 მ., ია. პარონზეგოვმა 5 მან., ე. ციმერმანმა 5 მან., დ. ზილბელმეისტერმა 5 მან., ბ. დარნომ 5 მან., ა. ვაკემ 5 მან., ა. გოგიჯანოვმა 3 მან., ლ. კაუხჩოვმა 3 მან., ბ-ნმა ივანოვმა 3 მან., ს. დიასამიძემ 3 მან., ე. ჩხატარაიშვილმა 2 მან., ა. თოიძემ 2 მან., ნ-ნმა გაბუნიამ 2 მან., გ. მავროპულომ 2 მან., ა. კაუხჩოვმა 2 მან., ა. ტროფიმოვმა 2 მან., ი. კუცურმა 2 მან., ვ. ვაჩეიშვილმა 2 მან., №№ 2 მან., ვ. კაპლანმა 1 მ. 50 კ., ბ-ნმა პარნამ 1 მან., ა. გოთოშიამ 1 მან., ი. ბერძენიშვილმა 1 მან., ბ-ნმა გაბუჩიამ 1 მან., კ. გაბელიამ 1 მან., ვ. გაბელიამ 1 მ., მ. დავიდოვმა 1 მან., ნ. გაიდებურამ 1 მან., გ. თუმანოვმა 1 მან., ა. ნალბანდოვმა 1 მან., პ. ნაზაროვმა 1 მან., № № 1 მან., ა. მაკაროვმა 1 მან., № № 1 მან., ბ ნმა დოლუგიამ 1 მან., ლ. მაკაროვმა 1 მან., ბ-ნმა გალდავაძემ 1 მან., ლ. ჰინკარაძემ 1 მან., ნ. ქადიეშვილმა 1 მან., № № 1 მან., პ. სიმონოვმა 5 მან., ბ-ნებმა მავროპულომ 1 მან., პისტოფიდიმ 1 მან., ემაკმა 1 მან., სუკოიანმა 2 მან., ნანეიშვილმა 3 მან., ახვლედიანმა 2 მან., დ. ბარათოვმა 1 მან.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

21 ივლისი

საქმე ვლადიმირ კობახიძისა, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება.

სპირიდონ და პავლე გულიტაშვილებისა, რომელთაც სასჯ. დებულ. მე-996 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედებათ.

თელა ბუგულაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 18 ივლისს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა უ'უფთაობის მილის გამართვის საქმე კრწანისის ქუჩიდგან სვიატოპოლკ მირსკის ქუჩაზედ ზდანევიჩის სახლამდე, 1 ნაწილში, სიგრძით 70 ოთხ კუთ. საჟ., სამუშაო სულ 1866 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გაიცნონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (2—ნ.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1900 წლის 18 ივლისს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გამართვის საქმე ავჭალის ქუჩიდგან პანკინის სახლამდე მალაკნების ქუჩაზედ, მე-10 ნაწილში სიგრძით 180 ოთხკ. საჟ., ღირებულობით 4100 მანეთი.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გაიცნონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3—ნ.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის აბარაკი ბორჯომში (აბესალომოვისეული), რომელიც შეიცავს 5 ოთახს ძირის სართულში და 4 ოთახს ზემოსაში, **იძლევა ქირით დაკლებულის ფასით.** პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის მე 4 ამშენებელ განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 8—დგან 1-ლ საათამდე. (3—ნ.—3)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

**ბორნო-ტიმოლის საპონი**

**პროვიზორის**

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმაროთ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—ნ.—14)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.